



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302031850
თარიღი: 13/11/2020
პინი: 3924

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, ასევე 2021-2024 წლების პრიორიტეტის დოკუმენტსა და 2021 წლის ბიუჯეტის პროგრამულ დანართს განსახილველად.

პატივისცემით,

ბიძინა იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2020 წლის

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

თავი I. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	19,523.7	21,863.0	10,943.0	10,920.0	11,350.4	11,350.4	-
გადასახადები	9,226.9	7,794.6	7,794.6	-	9,020.3	9,020.3	-
გრანტები	9,114.4	11,140.0	220.0	10,920.0	220.0	220.0	-
სხვა შემოსავლები	1,182.4	2,928.4	2,928.4	-	2,110.1	2,110.1	-
II. ხარჯები	10,498.7	11,885.8	10,505.9	1,379.9	11,071.8	11,071.8	-
შრომის ანაზღაურება	4,687.0	4,942.6	4,942.6	-	5,178.9	5,178.9	-
საქონელი და მომსახურება	4,503.3	4,655.2	4,360.5	294.7	4,666.6	4,666.6	-
პროცენტი	29.1	33.2	33.2	-	33.2	33.2	-
სუბსიდიები	398.5	430.2	430.2	-	433.8	433.8	-
სოციალური უზრუნველყოფა	586.0	538.9	538.9	-	624.5	624.5	-
სხვა ხარჯები	294.8	1,285.7	200.5	1,085.2	134.8	134.8	-
III. საოპერაციო სალდო	9,025.0	9,977.2	437.2	9,540.1	278.6	278.6	-
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,268.1	11,526.8	1,294.5	10,232.3	720.5	720.5	-
ზრდა	9,307.7	11,536.5	1,304.2	10,232.3	720.5	720.5	-
კლება	39.6	9.7	9.7	-	-	-	-
V. მთლიანი სალდო	- 243.1	- 1,549.6	- 857.4	- 692.2	- 441.9	- 441.9	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 272.1	- 1,607.7	- 915.5	- 692.2	- 500.0	- 500.0	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	272.1	1,607.7	915.5	692.2	500.0	500.0	-
ვალუტა და დეპოზიტები	272.1	1,607.7	915.5	692.2	500.0	500.0	-

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 29.0	- 58.1	- 58.1	-	- 58.1	- 58.1	-
კლება	29.0	58.1	58.1	-	58.1	58.1	-
საშინაო	29.0	58.1	58.1	-	58.1	58.1	-
სესხები	-	58.1	58.1		58.1	58.1	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	29.0	-			-		
VIII. ბალანსი	0.0	0.0	- 0.0	-	0.0	0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	19,563.3	21,872.7	10,952.7	10,920.0	11,350.4	11,350.4	-
შემოსავლები	19,523.7	21,863.0	10,943.0	10,920.0	11,350.4	11,350.4	-
არაფინანსური აქტივების კლება	39.6	9.7	9.7		-	-	-
გადასახდელები	19,835.4	23,480.4	11,868.2	11,612.2	11,850.4	11,850.4	-
ხარჯები	10,498.7	11,885.8	10,505.9	1,379.9	11,071.8	11,071.8	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,307.7	11,536.5	1,304.2	10,232.3	720.5	720.5	-
ვალდებულებების კლება	29.0	58.1	58.1	-	58.1	58.1	-
ნაშთის ცვლილება	- 272.1	- 1,607.7	- 915.5	- 692.2	- 500.0	- 500.0	-

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 11,350.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	19,523.7	21,863.0	10,943.0	10,920.0	11,350.4	11,350.4	-
გადასახადები	9,226.9	7,794.6	7,794.6	-	9,020.3	9,020.3	-
გრანტები	9,114.4	11,140.0	220.0	10,920.0	220.0	220.0	-
სხვა შემოსავლები	1,182.4	2,928.4	2,928.4		2,110.1	2,110.1	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 9,020.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	9,226.9	7,794.6	7,794.6	-	9,020.3	9,020.3	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-			-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	7,366.1	6,494.6	6,494.6		7,520.3	7,520.3	
ქონების გადასახადი	1,860.8	1,300.0	1,300.0	-	1,500.0	1,500.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	333.1	400.0	400.0		400.0	400.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	299.3	400.0	400.0		400.0	400.0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	22.9	10.0	10.0		10.0	10.0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	158.6	50.0	50.0		50.0	50.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,046.9	440.0	440.0		640.0	640.0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 220.0 ათასი ლარით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	ათას ლარში	
		2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
გრანტები	9,114.4	11,140.0	220.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		309.89	
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9,114.4	10,830.1	220.0
გათანაბრებითი ტრანსფერი			
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220.0	220.0	220.0
კაპიტალური ტრანსფერი	5,581.0	5,471.6	
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	3,313.4	5,138.5	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2,052.1	4,100.0	
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები	748.0	748.0	
სხვა სახის ტრანსფერები	513.3	290.5	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2,110.1 ათასი ლარით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	ათას ლარში	
		2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	1,182.4	2,928.4	2,110.1
შემოსავლები საკუთრებიდან	159.2	160.0	160.0

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
რენტა	159.2	160.0	160.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	100.1	74.2	73.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	48.9	24.2	23.0
სანებართვო მოსაკრებელი	20.7	11.2	10.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	17.2		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	11.0	13.0	13.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	51.2	50.0	50.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	834.9	2,649.2	1,837.1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	88.1	45.0	40.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 11,071.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	10,498.7	11,885.8	10,505.9	1,379.9	11,071.8	11,071.8	-
შრომის ანაზღაურება	4,687.0	4,942.6	4,942.6	-	5,178.9	5,178.9	-
საქონელი და მომსახურება	4,503.3	4,655.2	4,360.5	294.7	4,666.6	4,666.6	-
პროცენტები	29.1	33.2	33.2	-	33.2	33.2	-
სუბსიდიები	398.5	430.2	430.2	-	433.8	433.8	-
სოციალური უზრუნველყოფა	586.0	538.9	538.9	-	624.5	624.5	-
სხვა ხარჯები	294.8	1,285.7	200.5	1,085.2	134.8	134.8	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 720,5 ათასი ლარით.
მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 720,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური
აქტივების კლება - 0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	59.4	145.1	15.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	59.4	145.1	15.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,833.1	9,767.2	600.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,335.4	5,497.1	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	840.9	945.8	-
02 03	გარე განათება	-	124.3	-
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	82.3	-	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	0.6	49.0	-
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	403.1	881.6	600.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,430.9	1,521.3	-
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	740.0	748.0	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2.8	-	-

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2.8	-	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	განათლება	532.4	794.2	44.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	62.2	44.0	9.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.4	-	35.0
04 03	საბაზო ზოგადი განათლება	469.8	750.2	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,709.9	829.4	61.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,689.5	806.4	1.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	20.4	23.0	60.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	170.0	0.8	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	170.0	0.8	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	9,307.7	11,536.5	720.5

ათას ლარში			
დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	39.6	9.7	-
ძირითადი აქტივები	1.0	-	-
არაწარმოებული აქტივები	38.6	9.7	-
მიწა	38.6	9.7	

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში				
ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,820.3	3,157.0	3,256.8
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,791.2	3,123.8	3,223.6
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,789.4	3,042.5	3,168.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	1.8	81.3	55.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	29.1	33.2	33.2
7.2	თავდაცვა	127.8	133.4	143.3
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	127.8	133.4	143.3
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	3,455.0	5,632.5	154.4
7.4 5	ტრანსპორტი	3,455.0	5,632.5	154.4
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,433.4	5,611.5	128.8
7.4 5 5	მისილადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	21.5	21.0	25.6
7.5	გარემოს დაცვა	1,026.5	1,249.6	1,271.4
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,026.5	1,249.6	1,271.4

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,088.9	5,960.3	1,222.0
7.6 1	ბინათმშენებლობა	192.6	1,123.1	-
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	883.6	1,016.6	68.5
7.6 4	გარე განათება	319.8	461.3	405.0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,692.9	3,359.2	748.5
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	307.5	147.8	147.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	307.5	147.8	147.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,896.1	3,066.4	2,354.4
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,742.3	1,879.6	1,063.5
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,113.8	1,146.7	1,250.9
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.9	განათლება	3,453.0	3,465.0	2,559.0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,457.0	2,399.6	2,500.0
7.9 2	ზოგადი განათლება	996.0	1,065.3	59.0
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	996.0	1,065.3	59.0
7 10	სოციალური დაცვა	631.4	610.5	684.0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	90.0	90.0	145.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.5	1.5	3.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	40.0	49.0	106.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	36.0	37.2	37.2
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	463.9	432.8	392.8
	სულ	19,806.4	23,422.3	11,792.3

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 441,9 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 278,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	9,025.0	9,977.2	278.6
მთლიანი სალდო	- 243.1	- 1,549.6	- 441.9

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 500,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 272.1	- 1,607.7	- 500.0
ზრდა	-	-	-

ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	272.1	1,607.7	500.0
ვალუტა და დეპოზიტი	272.1	1,607.7	500.0

ფინანსური აქტივების კლება 500,0 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2021 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 58,1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 439,5 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 381.4 ათასი ლარი.

თავი II. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1366,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1,366.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	128.8
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	-
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	100.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	28.8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	68.5
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	-
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	68.5
02 03	გარე განათება	405.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	405.0
02 03 02	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	-
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	-
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	138.5
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	-
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	20.0
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	5.0
02 06 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	113.5
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	25.6
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	600.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	-

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასასაფრთხოების ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად		
მიღწეული შედეგი	ქ. ლანჩხუთში, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2021 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		68,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		68,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იკ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე სტუმრების უწყვეტ რეჟიმში წყლით მომარაგებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შეძენა.		
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის სტუმრების უზრუნველყოფა სასმელი წყლით; პერიოდულად წარმოქმნილი დაზიანებების დროული და ოპერატიული აღმოფხვრა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		405,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1100-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 8000-ზე მეტ სანათ წერტილს, 30000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 200,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; - კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2021 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად.		

	პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		405,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (230,0 ათასი ლარი).		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 05		113,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისდელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის დელის სასაფლაო. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 10800 კვ/მეტრს. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული განაშენებულის სკვერების დაცვის ღონისძიებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს: - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება, შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცეღვით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას. განყოფილება ასევე ახდეს განაშენებულის სკვერების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა (მეველეები და სასაფლაოს ზედამხედველები) ხელფასებიც.		
მოსალოდნელი შედეგი	წლის მანძილზე შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოს ტერიტორიები. ასევე, 24 საათიან რეჟიმში განხორციელდება ქალაქის სკვერების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		25,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლების დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება. სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 4 საშტატო ერთეულს (ხელფასი, მიმდინარე ხარჯი), რომელთა მოვალეობაშიც შედის ზემოთმოყვანილი საკითხების ზედამხედველობა.
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთისა და სოფლების დამაკავშირებელი ტრანსპორტი მთელი წლის განმავლობაში გადაადგილდება შეუფერხებლად

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		600
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,281.4 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,281.4
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,104.4
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	167.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	10.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1104,4

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: მაჩხვარეთი, ჯურუყვეთი, ნიგვზიანი, გრიგოლეთი, ყვავილნარი, წყალწმინდა, ნინოშვილი, სუფსა, ჩოჩხათი, ავანა, მამათი, ჩიბათი, ლესა, ეწერი, შუხუთი, ნიგოთი. შეგროვებული ნარჩენები გადის ფოთის, ურეკის და ოზურგეთის (მერის) ნაგავსაყრელებზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 85 მ³ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი. ზღვის სეზონთან დაკავშირებით დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის დაგვა დასუფთავებას და ყოველდღიურად (უმეტეს შემთხვევებში) ნაგავსაყრელებზე დამატებით გადის 45 მ³ ნარჩენი. პროგრამიდან ასევე ფინანსდება მდინარე სუფსაზე არსებული ნაგავჩამკეტის გაწმენდითი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც 2 დღეში ერთხელ მრავიანი ნავის საშუალებით ხორციელდება მდინარის გაწმენდითი სამუშაოები. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები და მათ შორის ზღვის სანაპირო. ასევე, გაგრძელდება მდინარე სუფსის ნაგავჩამკეტის გაწმენდითი სამუშაოები.

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		167
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 9 საშტატო ერთეულისა და ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 04		10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში,მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,559.0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში		
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
04 00	განათლება	2,559.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,500.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-
04 03	განათლების ღონისძიებები	24.0
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	35.0
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	-

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2 500,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1250-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი		

	აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1250-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		24,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით,ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია , მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		35,0
პროგრამის განმახორციელებელ ი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მონაწილეობით ბიუჯეტის პროგრამის გამარჯვებული ობიექტის დაფინანსება-სოფელ სუფსაში არსებული სამუსიკო სკოლის კეთილმოწყობა და გარე ფასადის მოხატვა
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი სამუსიკო სკოლა სოფ სუფსაში . ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო .

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,354.4 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში		
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,354.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,063.5
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,030.0
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	500.0
05 01 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	160.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	130.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	240.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	33.5
05 01 03	კაპიტალური დაბანდება სპორტის სფეროში	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,278.9
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,180.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	860.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	320.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	24.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდება კულტურის სფეროში	34.9
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	12.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		500.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარებასპორტული ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (28 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (35 ბავშვი); რაგბი (45 ბავშვი); ცურვა (36 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); კარატე (60 ბავშვი); ჯადრაკი (37 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა ფეხბურთი (25 ბავშვი) და სპორტული ტანვარჯიში (20 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 5-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 75 ადამიანი, მათ შორის, 30 ტექნიკური და 15 ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;		

	- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		160,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მინიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		130,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია ქალთა საფერხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		240,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის 6 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 180 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 42 ადამიანი, მათ შორის 35 ტექნიკური და 7 ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		

მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		33,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე სპორტსმენებისა და მწრთენელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		860,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება		
